ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ, ᲣᲛᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 წ. № 191 (7144). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ არმიის გენერალ მასლენიკოვს (1-ლი გვერდი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ არმიის გენერალ ბაგრამიანს (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ. 19 სექტემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

ᲪᲜᲝᲑᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (1-ლი გვერდი).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ (1-ლი გვერდი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲐ: კომუნისტები მოწინავენი არიან; უკეთ ვიმუშაოთ აქტივთან. (მე-2 გვერდი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ: ახალი დავალება წარმატებით სრულდება; დაზგები საჩუქრად. (მე-2 გვერდი).

ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲝ ᲮᲕᲜᲐ-ᲗᲔᲡᲕᲐ: მოწინავენი და ნამორჩენილნი თესლის გაწმენდას აგვიანებენ; თესვისათვის მზადება ჩამორჩა. (მე-2 გვერდი).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘ. (მე-2 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ: ხაომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში; პარიზის პრესა დე გოლის კაბინეტის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ; იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეტევითი ოპერაციების ათი დღის შედეგები; გერმანელებმა გაიტანეს იტალიის ბანკის ოქროს მარაგი (1-ლი და მე-2 გვერდები).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲛᲐᲡᲚᲔᲜᲘᲙᲝᲕᲡ

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და დღეს, 19 სექტემბერს, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი ᲕᲐᲚᲒᲐ—გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ესტონეთის სამხრეთ ნაწილში.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და ქალაქ ᲕᲐᲚᲒᲘᲡ დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲖᲐᲮᲐᲕᲐᲢᲐᲔᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲩᲣᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲔᲜᲙᲝᲡ, გენერალ-მაიორ ᲑᲣᲜᲙᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲡᲝᲚᲝᲒᲣᲑᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲜᲘᲙᲘᲨᲘᲜᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲙᲝᲖᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲨᲙᲔᲚᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲨᲘᲠᲘᲐᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲜᲙᲝᲡ, პოლკოვნიკ ᲓᲣᲓᲝᲠᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲑᲣᲠᲚᲐᲙᲘᲜᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲝᲕᲘᲡ ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲙᲔᲪᲝᲕᲘᲡ, არტილერიის გენერალ-მაიორ ᲚᲔᲕᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ, არტილერიის გენერალ-მაიორ ᲘᲐᲙᲝᲕᲚᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲤᲐᲨᲢᲠᲘᲪᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲘᲐᲚᲔᲥᲡᲘᲩᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲛᲝᲜᲐᲖᲔᲚᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲐᲛᲠᲜᲘᲡ არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲝᲕᲡᲘᲐᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲛᲔᲐᲩᲘᲩᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘᲡ, მაიორ ᲙᲘᲑᲐᲚᲘᲡ ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ᲟᲣᲠᲐᲕᲚᲘᲝᲕᲘᲡ, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ᲤᲘᲚᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲠᲝᲚᲣᲨᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲒᲠᲐᲨᲩᲔᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲓᲝᲓᲝᲜᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲠᲝᲛᲓᲛᲝᲒᲘᲚᲜᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲙᲣᲚᲘᲜᲘᲡ, მაიორ ᲘᲐᲙᲝᲕᲚᲔᲕᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲨᲚᲝᲛᲘᲩᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲠᲐᲡᲙᲐᲖᲝᲕᲘᲡ მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ᲙᲘᲠᲩᲔᲕᲡᲙᲘᲡ, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ᲩᲘᲞᲣᲠᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲛᲐᲠᲩᲐᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲠᲝᲒᲝᲕᲘᲩᲘᲡ მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ᲡᲘᲜᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲝᲠᲐᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲓᲠᲝᲑᲙᲘᲜᲘᲡ, მაიორ ᲙᲝᲡᲝᲑᲝᲙᲝᲕᲘᲡ მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და ქალაქ ᲕᲐᲚᲒᲘᲡ დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ᲕᲐᲚᲒᲘᲡ“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 19 სექტემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით ახ ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და დაიკავეს ქალაქი ᲕᲐᲚᲒᲐ.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და ქალაქ ᲕᲐᲚᲒᲘᲡ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წ. 19 სექტემბერი.

ᲪᲜᲝᲑᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

14-19 სექტემბრის განმავლობაში მოსკოვში სწარმოებდა მოლაპარაკება, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებსა, რომლებიც მოქმედებენ ყველა გაერთიანებული ერის სახელით, ვინც ომის მდგომარეობაში იმყოფება ფინეთთან, და მეორე მხრივ, ფინეთის მთავრობის დელეგაციას შორის ფინეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების დადების საკითხზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის მხრივ—ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი, ვ. გ. დეკანოზოვი, მ. მ. ლიტვინოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ს. მ. შტემენკო, კონტრ-ადმირალი ა. პ. ალექსანდროვი; დიდი ბრიტანეთის მხრივ—ელჩი ბ-ნი კერი და მრჩეველი-დესპანი ბ-ნი ბალფური. ფინეთის წარმომადგენლებად მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ფინეთის მთავრობის რწმუნებულები— საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი კ. ენკელი, სამხედრო მინისტრი გენერალი რ. ვალდენი, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ე. ჰეინრიხსი, გენერალი ო. ენკელი.

მოლაპარაკება დამთავრდა 19 სექტემბერს ფინეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით. შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა რწმუნებით ხელი მოაწერა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ა. ჟდანოვმა.

ფინეთის მხრივ შეთანხმება ხელმოწერილია ბ-ნ კ. ენკელის, გენერალ რ. ვალდენის, გენერალ ე. ჰეინრიხსის და გენერალ ო. ენკელის მიერ.

დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ტექსტი ცალკე გამოქვეყნდება. (საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენსანი კოლმეურნეობა ძმურ დახმარებას უწევს უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას გერმანელი ოკუპანტებისაგან დანგრეული მეურნეობის აღდგენის საქმეში.

შრომელმა კოლმეურნეებმა ივლისის ბოლოს გენიჩესკში გაგზავნეს ერთი ვაგონი საჩუქარი და თან გააყოლეს თავისი დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა უკრაინიდან.

— ჩვენმა მისვლამ აღაფრთოვანა უკრაინელი ძმები,—გვიამბობს დელეგაციის ხელმძღვანელი, კოლმეურნეობის პატრონგანზოგიერთის მდივანი ამხ. ა. ჩიგოგიძე. კოლმეურნეობაში შესდგა მიტინგი. ქართველ კოლმეურნეთა პატრიოტული თაოსნობის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ უკრაინის კ. პ. (ბ) გენიჩესკის რაიკომის მდივანი ამხ. ლისაკი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კლიმენკო. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ბუდეიმ კოლმეურნეთა სახელით შრომელ კოლმეურნეებს მადლობა უძღვნა და განაცხადა, რომ ისინი მალე მოიშუშებენ ამ ჭრილობას, რომელიც მათ მიაყენეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა.

დელეგაციის წევრებმა ბ. სირაძემ და ა. ჯორბენაძემ განაცხადეს, რომ გენიჩესკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ფაშისტმა ოკუპანტებმა სრულიად გააპარტახეს. კოლმეურნეობიდან მონური შრომისათვის ძალით წაიყვანეს 130 ახალგაზრდა. დანგრეული მეურნეობის აღსადგენად ახლა გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული. კოლმეურნეებმა უკვე მოიყვანეს პურის უხვი მოსავალი. განსაკუთრებული მონდომებით ზრუნავენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის.

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყველა ბრიგადაში გულდასმით მოისმინეს დელეგაციის წევრთა ნაამბობი უკრაინაში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს და პირობა დასდეს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ მოძმე უკრაინელებისადმი დახმარებას.

Ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲣᲗᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲗᲔᲡᲕᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

საქართველოს მიწსახკომის ცნობებით, 15 სექტემბრისათვის რავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა ჭიათურის რაიონში შესრულებული იყო 3,0 პროცენტით, სარჩერის რაიონში—22,3, ამბროლაურის — 0,4, ცაგერის—30,9, ონის—4,2, საგარეჯოს რაიონში—3,0 პროცენტით.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲨᲔᲯᲔᲮᲐ

საქართველოს მიწსახკომის 15 სექტემბრის ცნობებით, აფხაზეთის ახს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თამბაქოს ფოთლის შეტანის გეგმა შესრულებულია 91,7 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში—80,6, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში—45,8, ყვარლის—63,8, ლაგოდეხის—78,8, ბორჩალოს—57,9, ბოლნისის—61,3 პროცენტით.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲑᲐᲒᲠᲐᲛᲘᲐᲜᲡ

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერი ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ქალაქ ᲠᲘᲒᲘᲡ სამხრეთ-აღმოსავლეთით და ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 40-მდე კილომეტრით და გარღვევა გააფართოვეს 120 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები — ᲑᲐᲣᲡᲙᲐ, ᲘᲔᲪᲐᲕᲐ, ᲕᲔᲪᲔᲛᲣᲨᲐ და მდინარე ზაპადნაია დვინაზე—ᲘᲐᲣᲜᲔᲚᲒᲐᲕᲐ და ᲢᲔᲪᲐᲕᲐ, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 2.000-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ᲑᲔᲚᲝᲑᲝᲠᲝᲓᲝᲕᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲛᲐᲚᲘᲨᲔᲕᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲞᲠᲝᲙᲝᲤᲘᲔᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲘᲑᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲡᲐᲛᲐᲠᲡᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲡᲚᲝᲚᲓᲐᲢᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲩᲔᲠᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲒᲝᲠᲝᲓᲜᲘᲪᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲓᲘᲒᲠᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲙᲣᲓᲠᲘᲐᲕᲪᲔᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲨᲙᲣᲠᲘᲜᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲚᲣᲪᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲑᲘᲠᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲑᲝᲜᲩᲐᲠᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲘᲜᲘᲪᲘᲜᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲑᲠᲘᲖᲚᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲕᲔᲠᲑᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲙᲣᲩᲔᲠᲘᲐᲕᲔᲕᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲓᲠᲣᲫᲘᲜᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲕᲚᲐᲡᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲡᲕᲔᲢᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ, გენერალ-მაიორ ᲑᲔᲚᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲞᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ, პოლკოვნიკ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲞᲝᲢᲐᲞᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲮᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘᲡ ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ᲖᲔᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ, არტილერიის გენერალ-მაიორ ᲨᲐᲠᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲡ, ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲞᲠᲝᲙᲝᲤᲘᲔᲕᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲙᲠᲐᲡᲘᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲛᲘᲠᲝᲜᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲩᲐᲞᲐᲔᲕᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲞᲐᲕᲚᲘᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲣᲨᲛᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲛᲘᲖᲐᲚᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲝᲡᲝᲙᲘᲜᲘᲡ არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲡᲙᲝᲠᲜᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲝᲑᲣᲮᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲛᲔᲜᲨᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲞᲝᲓᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲐᲓᲝᲕᲡᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲛᲐᲜᲩᲣᲠᲘᲜᲘᲡ, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ᲙᲠᲔᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲢᲐᲠᲝᲓᲣᲑᲪᲔᲕᲘᲡ, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ᲐᲡᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ᲞᲐᲞᲘᲜᲘᲡ, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ᲑᲔᲚᲔᲪᲙᲘᲡ, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ᲣᲨᲐᲙᲝᲕᲘᲡ, ავიაციის გენერალ-მაიორ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲙᲝᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲣᲠᲑᲐᲢᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲣᲩᲛᲐᲡ, პოლკოვნიკ ᲩᲣᲛᲐᲩᲔᲜᲙᲝᲡ, პოლკოვნიკ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲞᲚᲐᲮᲝᲕᲘᲡ, მაიორ ᲛᲐᲠᲢᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲙᲝᲡᲐᲠᲔᲕᲘᲡ, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ᲙᲝᲚᲛᲐᲙᲝᲕᲘᲡ, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ᲠᲐᲖᲕᲝᲕᲩᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲝᲠᲝᲢᲙᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲡᲢᲔᲩᲘᲨᲕᲘᲜᲘᲡ მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ᲑᲐᲑᲙᲘᲜᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲖᲐᲘᲩᲘᲩᲘᲙᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲘᲣᲠᲘᲜᲘᲡ, პოდპოლკოვნიკ ᲪᲣᲚᲪᲝᲕᲘᲡ მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში ქალაქ ᲠᲘᲒᲘᲡ სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 19 სექტემბერს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წ. 19 სექტემბერი.

ᲡᲒᲣᲓᲔᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია სტუდენტების სავალდებულო ფიზიკური მომზადება. მომზადების ეთმობა 30-50 საათი. გარდა ამისა, 136 საათი გამოყოფილია სასწავლო-საწრთვნელი მეცადინეობისათვის პირველ და მეორე კურსებზე. პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში სტუდენტები შეიძენენ მეორე სპეციალობას—საშუალო სკოლებისა და შვიდწლედების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა ყველა რეს-პუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტს წინადადება მისცა მაქსიმალური დახმარება გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს სასპორტო-მასობრივი და სასწავლო მუშაობის მოწყობაში. (საკდესი).

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲔᲑᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოსკოვის თეატრები ენერგიულად ემზადებიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 27-ე წლისთავის აღსანიშნავად.

სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრი გვიჩვენებს პრემიერას—ალექსი ტოლსტოის დრამატიული მოთხრობის „ივანე მრისხანეს“ პირველ ნაწილს. პიესაში ახლებურად არის გაშუქებული მრისხანეს სახე, ნაჩვენებია მისი პროგრესული როლი რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში, რეაქციულ ბოიარინებთან და უცხოელ მტრებთან ბრძოლაში. მცირე თეატრის მეორე პრემიერა, რომელიც განკუთვნილია ოქტომბრის დღესასწაულისათვის, არის ნ. ვირტას „სტალინგრადის ჯარისკაცები“.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი მუშაობს ა. კრონის პატრიოტულ პიესაზე „ფლოტის ოფიცერი“. ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრი ოქტომბრის დღეებში დასდგამს კ. სიმონოვის ახალ პიესას „ასე იქნება“,—რომელშიც ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანები მტერზე საბოლოო გამარჯვების წინა დღეებში. მოსკოვის დრამის თეატრი გვიჩვენებს ვ. კატაევის პიესას „მამისეული სახლი“—დანგრეული ქალაქების აღდგენის შესახებ. (საკდესი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲕᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲖᲔᲜᲔᲕᲐ, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც რადიოსადგური „სლობოდნა იუგოსლავია“ იუწყება, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სექტემბრის შეტევის პირველი 10 დღის განმავლობაში გახთავისუფლებულია 98 ქალაქი. ამ ხნის განმავლობაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა მთელი რიგი ძლიერი დარტყმები მიაყენეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს. იუგოსლავიის ყველა რკინიგზის ხაზი, რომლებსაც ოკუპანტები იყენებენ, გამოყვანილია მწყობრიდან. სულ დანგრ

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ელგუჯა ხაზანიშვილი, რომელიც საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს 1000 პროცენტის ნაცვლად, ყოველდღიურად 1200 პროცენტით ასრულებს.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის ზეინკალი ირაკლი ღრუბელაძე, რომელიც საოქტომბრო შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებას ნაცვლად 250 პროცენტისა, ყოველდღიურად 300-400 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ახალი დავალება წარმატებით სრულდება

ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. პ. კანკავა, საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ქარხნის კოლექტივმა მიიღო ახალი დავალება. მოწინავე სტახანოველებმა ბრიგადებმა და საამქროებმა მოსკოვის ავტომარხნელთა მომართვის პასუხად იკისრეს, რომ ისინი წარმატებით შეასრულებენ ამ დავალებას.

ახალი ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა დაკავშირებული იყო მრავალგვარ სირთულესთან. საჭირო იყო მოწყობილობის მუშაობის ხასიათის შეცვლა, მისი ახლებურად გამართვა, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება და სხვ. მიუხედავად ამისა, ქარხნის მოწინავე ადამიანებმა წარმატებით დასძლიეს ეს სიძნელე. ამ საქმეში ყველას გაუსწრო ამხ. გ. კოკიანოვის საამქრომ, რომელმაც სექტემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში მოსკოვის ავტომარხნელთა მომართვის საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულა. ბრიგადებს შორის ჯერჯერობით წინ არის ამხ. ს. ვარტიკოვის ბრიგადა, რომელმაც სექტემბრის 15 დღის საწარმოო დავალება 19 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ზეინკლები გ. ამირანაშვილი, ლ. მაკაიძე, ა. ოდიბაშვილი, მღარავი მარიამ ბულიგინა, ხარატები ვ. ილურიძე და გ. ლეშჩენკო.

თვითეული მათგანი ორმაგად და მეტად ასრულებს მოსკოველთა გამოწვევის საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებებს და ამავე დროს დახმარებას უწევს ქარხანაში ახალმოსულთა.

დ. ამირანიძე

დაზგები საჩუქრად

იმ ქარხნის კოლექტივმა, სადაც დირექტორად არის ამხ. ბოკერია და პარტიული ორგანიზაციის მდივნად ამხ. კიკნაძე, საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულება 1 ოქტომბრისათვის.

ამ ვალდებულებას ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ და შრომის მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან ქარხნის მოწინავე ადამიანები ამხ. გეგაძე, შჩერბაკოვი, ორლოვი, ი. ივანოვი და ა. ავეტიქოვი. სექტემბრის პირველ ნახევარში ქარხანამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი თვის გეგმა.

წლის ბოლომდე ქარხნის კოლექტივი ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემს 400.000 მანეთის პროდუქციას. ამჟამად ქარხნის მოწინავე ადამიანები მუშაობენ იმისათვის, რომ 7 ნოემბრისათვის ქვეყანას საოქტომბრო საჩუქრად მიუძღვნან გეგმის დამატებით გამოშვებული რამდენიმე ახალი დაზგა.

მ. ივანიშვილი

საშემოდგომო ხვნა-თესვა

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

კასპი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). საშემოდგომო ხვნაში დაწინაურდნენ კასპის კოლმეურნეობა „ძმობა“ (თავმჯდომარე ა. მერებაშვილი), წინარების კოლმეურნეობა „სინათლე“ (თავმჯდომარე ი. ბერიაშვილი), რგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ტ. ხაჩიოშვილი). ხვნას აჭიანურებენ კოდისწყაროს (თავმჯდომარე ი. დვალიძე), ოკამის (თავმჯდომარე მ. კაპანაძე), თეზის (თავმჯდომარე ლ. დემეტრაშვილი), აღაიანის (თავმჯდომარე ფ. თხილიშვილი), ბოჟამის (თავმჯდომარე მ. გამხიტაშვილი) კოლმეურნეობები.

კარგად მუშაობს კასპის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ა. გურგწაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ხვნის გეგმა დროულად შეასრულა. მტს-ის ტრაქტორისტებმა იკისრეს ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის წლიური გეგმა შეასრულონ 150 პროცენტით.

ნაყოფიერად მუშაობს წითელქალაქის მტს-იც. მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. ხოკერაშვილი) საშემოდგომო ხვნის გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

ჩამორჩენა არის თესლის მომზადებაში. საშემოდგომოდ საჭირო 12.600 ცენტნერი ხორბლის თესლიდან გაწმენდილი, შემოწმებული და სათესლე ლაბორატორიის მიერ მოწონებულია 9.500 ცენტნერი. აღაიანის მეორე და თეზის კოლმეურნეობებს შესაძლებელად არ გაუგზავნიათ პურისა და ქერის თესლი. თესლის გაწმენდა არ დაუმთავრებიათ იგოეთის, ლამისყანის, ქვემო ჭალის, ნიგოზის, წინარეხის, თელადგორის, ნოსტეს, ახალციხის კოლმეურნეობებს, თესვის დაწყების ვადები კი ახლოვდება.

ვ. ბუზალაძე

თესლის განმეორებას აგვიანებენ

ბოლნისი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). დაიწყო საშემოდგომო თესვა. ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობა „გზანთიადმა“ დასთესა 40 ჰექტარი ხორბალი. ბრიგადა, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობს, თესვის ყოველდღიურ ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. კარგად მოემზადა თესვისათვის ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლი“. აქ დროულად მოამზადეს კარგი ხარისხის სათესლე მასალა, შეაკეთეს იარაღმანქანები.

ვადები და ხარისხი სწყვეტს წარმატებას თესვაში. მაგრამ ზოგან ამას არ ითვალისწინებენ. აძვის, ფლავისმანის, სვენთოის, პატარა გარეჯვრის კოლმეურნეობები თესვისათვის ნელი ტემპით ემზადებიან. ფლავისმანის კოლმეურნეობას საშემოდგომო ხვნა დღემდე არ დაუწყია.

ზოგან არ ჩქარობენ სათესლე მასალის შემოწმებას. საკონტროლო ლაბორატორიაში შემოწმებულია მხოლოდ 15.679 ცენტნერი თესლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 28.700 ცენტნერისა. დიდი ხუთვალეთის, ნადარბაზევის, ახალი ხუთვალეთის, სვენთოის კოლმეურნეობებს თესლის ნიმუშები ჯერაც არ წარუდგენიათ ლაბორატორიაში შესამოწმებლად.

ვარიანის კოლმეურნეობაში 10 ჰექტარი მიწა უხარისხოდ აოშეს. შინდისის მტს-ის მე-5 ბრიგადამ 7 ჰექტარი უხარისხოდ მოხნა. მე-6 სატრაქტორო ბრიგადის თვითეული ტრაქტორი დღეში მხოლოდ 0,35 ჰექტარს ხნავს. ეს გამონაკლისი როდია.

რაიონში გაჩაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება თესვისა და მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების მზარდ ინიციატივას და უზრუნველჰყონ საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარება.

შ. ჩუბინიძე

თესვისათვის მზადება ჩამორჩა

ასპინძა, („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ველიჯანაშვილი) დროულად დაამთავრა სათესლე მასალის მომზადება, მოხნა 200 ჰექტარი და შეაკეთა მთელი საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. სოფელ საროს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ფ. მაზმნიშვილი), სოფელ ქუნაის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე გ. ხიზაძე), სოფელ აძგვიტის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ბ. კურავი) კოლმეურნეობებმა სათესლე ნაკვეთებზე მოსავალი ადრევე აიღეს, პირველ რიგში გალეწეს, კალოებზე მოაწყეს სათესლე მასალის მასობრივად გაწმენდა, შეაკეთეს გუთნები, კავები და სხვა ინვენტარი.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობაში კარგად როდი ემზადებიან თესვისათვის. სოფელ აგარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ზაზაძე) დღემდე არ დაუმთავრებიათ სათესლე მასალის გაწმენდა, ხუთი ბრიგადიდან არც ერთს არა აქვს მომზადებული საჭირო ინვენტარი. აქ საშემოდგომოდ ნიადაგი ზოგან ზერელედ და ხარვეზებით მოხნეს. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ნიალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ალიევი), სოფელ ვარგავის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ (თავმჯდომარე კ. მექოშვილი). ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა სათესლე მასალისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე დაგვიანებით აიღეს მოსავალი და ასევე გაჭიანურეს ლეწვაც, ვერ მოაწესრიგეს შრომა მოსავლის აღებისას, არ მოაწყეს თესლის გაწმენდა გალეწვისთანავე, არ გამოჰყვეს ინვენტარის შემკეთებელი ხელოსნები.

ასპინძის რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილება (გამგე მ. ხუციშვილი) აღნიშნულ კოლმეურნეობებს სისტემატურ დახმარებას და ოპერატიულ ხელმძღვანელობას არ უწევს. რაიმიწგანის მუშაკები იშვიათად მიდიან კოლმეურნეობებში. მიწგანის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელების საქმეს, არ იღებენ ზომებს სათესლე მასალის სრულ კონდიციამდე ასაყვანად.

საჭიროა მივიღოთ გადამჭრელი ზომები თესვისათვის მზადებაში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ვ. თამაზაშვილი

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები მოწინავენი არიან

წელს ქუთაისის ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის რიგებში კანდიდატად 24 საუკეთესო ამხანაგი მიიღო, ხოლო წევრად 11 ამხანაგი. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. კ. იოსელიანი კარგად ხელმძღვანელობს პარტიაში ახალმიღებულ კომუნისტებს, აძლევს მათ დავალებებს, შემდეგ ამოწმებს და ეხმარება მათს შესრულებაში. ახალგაზრდა კომუნისტი ამხ. თ. წიკლაძე მოსამზადებელი საამქროს მეორე ცვლის კომკავშირული ბიუროს მდივნად იქნა არჩეული. იგი სათავეში უდგას ახალგაზრდა მუშების საწარმოო და პოლიტიკური მომზადების საქმეს. ამხ. წიკლაძე ხელმძღვანელობს ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 180 პროცენტით ასრულებს და პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. მ. სიგაჩენკო ძაფსაღებ საამქროს სტახანოველია. იგი ორ დაზგაზე მუშაობს და დღემუდამ 132 პროცენტით ასრულებს გეგმებს. სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის იგი აბრეშუმკომბინატის სპატიო დაფაზე არის შეტანილი. სტახანოვურად მუშაობენ აგრეთვე ახალმიღებულები ამხ. ს. კალმახელიძე, ნ. წიკლაძე და სხვ.

აბრეშუმკომბინატში ბევრია კომუნისტი — რაციონალიზატორი. კომუნისტი ინჟინრის ამხ. ი. მიქელაძის წინადადებით მოეწყო ძველი მასრების აღდგენა, რამაც საწარმოს 3.000 მანეთის ეკონომია მისცა. მასვე ეკუთვნის ორმაგი ქსოვილის გამოშვების იდეა; წარმოებამ ამით 150 ათასი მანეთის მოგება ნახა.

კარგი თაოსნობა გამოიჩინა აგრეთვე ოსტატმა ამხ. ს. კეკელიამ. მან სამასრე მანქანებზე მოაწყო კოჭების ჩასაწყობი ყუთები, რითაც აბრეშუმკომბინატმა 20 ათასი მანეთი დაზოგა. ასეთივე მოგება ნახა საწარმომ კომუნისტ ამხ. გ. კახაძის რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით.

წელს კომუნისტების ინიციატივით აბრეშუმკომბინატში დაინერგა 6 რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც ათიათასობით მანეთის მოგება მისცა კომბინატს და მნიშვნელოვნად დააჩქარა წარმოების ტემპები.

ბ. ბეროძე

უკეთ ვიმუშაოთ აქტივთან

ხობი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის პარტორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში მკვეთრად გააუმჯობესეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან და უპარტიო აქტივთან მუშაობა. 3 თვის განმავლობაში საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულია 46 ამხანაგი, ხოლო პარტიის წევრად — 19 კაცი.

პარტიაში მიღებული არიან სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები: ჩაის სახელგანთქმული მკრეფავი მედალოსანი ამხ. მ. ოშმარიანი, სოფელ პირველი ხორგის კოლმეურნეობა „წითელი მეურნის“ ფერმის გამგე ამხ. ბ. გაგუა, კომკავშირულ ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი მედალოსანი ამხ. მ. გულია, სოფელ ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი ამხ. ვ. ნადარაია და მედალოსანი ტრაქტორისტი თ. თირქია და სხვ.

პარტიაში ახალ წევრთა მიღება კარგად არის დაყენებული სოფელ ბიას ბერიას სახელობის, სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის, სოფელ ახალი ხიბულის კოლმეურნეობა „ნოთეს“, სოფელ შუა ხორგის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

ქვემო ქვალონის რკინიგზის სადგურთან არსებულ პარტორგანიზაციაში კი ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევენ. 1944 წლის მანძილზე აქ ერთი კაციც არ მიუღიათ პარტიაში. ეს მაშინ, როდესაც აქ 65 მუშაა, რომელთაგან ბევრია ომის დროის სტახანოველი. წელს პარტიაში სრულებით არ უწარმოებიათ მიღება აგრეთვე სოფელ თორსა-დღვაბის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში (მდივანი ამხ. ა. ღუბელაძე) და კოლხიდმშენის ყორათის უბნის პირველადს პარტორგანიზაციაში (მდივანი ამხ. ა. ცხადაია).

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის მხოლოდ ოთხ კოლმეურნეობაში არსებობს პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრეები. ეს არ არის საკმარისი.

ხობის პარტრაიკომმა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრეების მოწყობაში, უპარტიო აქტივთან მუშაობის გაუმჯობესებაში.

გ. ნანეიშვილი

მოხსენება პარგზიული და სამეურნეო აქტივისათვის

ტყიბული, („კომუნისტის“ საკ. კორ.). 14 სექტემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ სამბობის და ენერგეტიკული მრეწველობის დარგში ამხ. ვ. გოგუამ პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის წაიკითხა მოხსენება თემაზე—**ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა.**

ასეთივე მოხსენება ამხ. ვ. გოგუამ წაიკითხა სოფელ ცუცხვათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა საეკსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია.

18 სექტემბერს გრძელდებოდა მოკავშირეთა ავიასადესანტო ჯარების გადასხმა ჰოლანდიაში და მათთვის სამხედრო მასალების მიწოდება. გადამსხდარი ნაწილები გამაგრდნენ პოზიციებზე და გააძლიერეს ძალი. ავიასადესანტო ჯარების ოპერაციები გრძელდება. ერთ რაიონში მოკავშირეთა სახმელეთო ჯარები უკვე შეუერთდნენ ავიასადესანტო ნაწილებს.

ანტვერპენის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარები იბრძვიან ჰოლანდიის ტერიტორიაზე და, მტრის გაფფორებული წინააღმდეგობის მიუხედავად, წინ მიიწევენ.

ბელგიაში მოკავშირეთა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ ქალაქის სიღრმეში. სამხრეთ ჰოლანდიაში მოკავშირეებმა დასძლიეს მტრის ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ტანკების წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს მაასტრიხტის ჩრდილო-აღმოსავლეთით. უფრო აღმოსავლეთით მოქმედმა ნაწილებმა უბახსბერგსა და ზიმპელველდს მიაღწიეს.

აახენში გრძელდება მძიმე ბრძოლები. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმენდეს ბიუზბახი. რეტგენს იქით მოკავშირეთა ჯარები მოწინააღმდეგისაგან სწმენდენ ეიპენის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას და გეფენი დაიკავეს.

სენ-ვიტის აღმოსავლეთით, გერმანიის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარები მტრის გაძლიერებულ წინააღმდეგობას შეხვდნენ. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ბრანდშაიდი და წინ წაიწიეს გენტჰაიმისაკენ, 6 მილზე საზღვრის აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარშანსტანკო ნაწილებმა გადასჭრეს ლუქსემბურგ-გერმანიის საზღვარი და დაიკავეს ქალაქი გიუტინგენი.

ბელფორის კორიდორის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს 5 მილზე მეტით სენ-ლუ-სიურ-ხემუზის აღმოსავლეთით და ქალაქ ფუჟეროლში შეგიდნენ. მოგერიებულია მოწინააღმდეგის ერიში ბონდე-რუადის მახლობლად.

ავიასადესანტო ნაწილების ოპერაციების ზონაში აქტიურად მომქმედებდა ავიაცია. მწყობრიდან გამოყვანილ ან მოსპობილ იქნა დიდძალი საზენიტო ქვემეხი, გემები, ავტომანქანები და საზიდრები, აფეთქებულია საწყობი საომარ მასალიანად.

საჰაერო ოპერაციებში 18 სექტემბერს მოსპობილია მტრის 32 თვითმფრინავი. მოკავშირეებმა 33 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგეს.

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკადესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ 18 სექტემბერს გრძელდებოდა უაღრესად ძლიერი ბრძოლები იტალიაში მომქმედი მოკავშირეთა არმიების ფრონტის ცენტრალურ და ადრიატიკის უბნებზე. მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ფლორენციის ჩრდილოეთით და კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მაღლობი დაიკავეს.

ფრონტის ადრიატიკის უბანზე მე-8 არმიის ინგლისელთა და კანადელთა ნაწილებმა მიიშველოვნად გააფართოეს ხიდწინა სამაგრე მდინარე მორანოზე.

მოკავშირეთა ავიაცია გუშინ თავს ესხმოდა დამხარისხებელ სადგურებსა და ხიდებს ჩრდილო-აღმოსავლეთ იუგოსლავიაში და ცენტრალურ უნგრეთში. ავიაციის სხვა შენაერთებმა დაბომბეს მტრის სამხედრო ობიექტები ბრძოლების ზონაში.

პარიზის პრესა დე გოლის კაბინეტის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

ლონდონი, (საკადესი). ოფის საააგენტო პარიზის პრესის მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ პარიზის გაზეთები აქვეყნებენ დაწვრილებითს კომენტარს საფრანგეთის კაბინეტის ახალი შემადგენლობის შესახებ ცნობის გამო. ზოგიერთი გაზეთის კომენტატორი სთვლის, რომ აღდგენილია ნაციონალური ერთიანობა, მაშინ როდესაც, სხვა გაზეთების აზრით, რესპუბლიკა ნამდვილად ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი.

გაბრიელ რობინე გაზეთ „ფიგაროში“ სწერს: „ახლა ჩვენ გვაქვს ნაციონალური ერთსულოვნების კაბინეტი“.

გაზეთი „ფრანტირერი“ სთვლის, რომ რესპუბლიკა შექმნილია ქაღალდზე და არა რეალურ ცხოვრებაში. „ჩვენ, მემარცხენე მემარჯულების ადამიანები, — განაგრძობს გაზეთი, — ვოცნებობდით რაღაც უფრო ამაღლებულზე, უფრო ხალხურზე“. მიუთითებს რა, რომ პეტენის ყოფილი მინისტრები ჯერ კიდევ თავისუფლად დასეირნობენ და ასობით გამცემლები კვლავ პარპაშობენ ქარხნებში, გაზეთი დასძენს: „მაგრამ რესპუბლიკა რაღაც სხვას წარმოადგენს, და ამ სხვისათვის ათასობით რესპუბლიკელი და პატრიოტი განიგმირა გერმანელთა ან ვიშელთა ტყვიით“.

დანიელ მეიერი გაზეთ „პოპიულერში“ კომენტარს უკეთებს ცვლილებებს კაბინეტის შემადგენლობაში და სწერს: „ახალი კომბინაცია მოხერხდება იმ ზომით, რა ზომითაც მთავრობა შეითვისებს და წარმატებით გაატარებს წინააღმდეგობის ნაციონალური საბჭოს მიერ გამომუშავებულ საერთო პროგრამას“.

ჟორჟ კონინ გაზეთ „ლუმანიტეში“ აღნიშნავს, რომ მთავრობის ახალი შემადგენლობა არ წარმოადგენს წინააღმდეგობის ორგანიზაციათა შემადგენლობის სწორ ასახვას, ვინაიდან მთავრობაში მხოლოდ ორი კომუნისტი მონაწილეობს. „კომუნისტები, — განაგრძობს კონინ, — მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას აძლევენ ადგილების რაოდენობას. მათ თვალში და ხალხის თვალში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროგრამის გატარებას, რომელიც გვიკარნახებს უფრო მეტი ნდობით მოვეკიდოთ ხალხის ინიციატივასა და უნარს აწარმოოს ომი ჰიტლერული გერმანიის განადგურებამდე, გამცემელთა უღმობელ დათრგუნვამდე, ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარებამდე“.

ეკ დებიუდრიდელი გაზეთ „ფრონ ნასიონალში“ მთავრობის პროგრამას განსაზღვრავს ერთი სიტყვით „ომი“. „ომი დამპყრობისა და მტრის წინააღმდეგ ერთა მთელი ძალების მობილიზაციის გზით, შინაგანი წინააღმდეგობის ძალთა შესანიშნავი აღფრთოვანების ხელმძღვანელობისა და წაქეზების გზით. ომი ყველას წინააღმდეგ, ვინც ჩვენში მტრულ თამაშს ეწეოდა, ომი დაუყოვნებლივი, სასტიკი და სამართლიანი წმენდის გზით წინააღმდეგობის ორგანიზაციათა ქმედითი კონტროლით. ომი ყველას წინააღმდეგ, რომლებიც გუშინ ვიშის მსახურნი იყვნენ და ცდილობენ, როცა ხელთ არა აქვთ ძალაუფლება, გასტეხონ საფრანგეთის ხალხის მასების აღფრთოვანება“.

პირველი ქართველი კომედიოგრაფი

80 წელი გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან

1850 წლის 2 იანვარს (ძველი სტილით) თბილისის გიმნაზიის საჩქარო დარბაზის სცენაზე ქართული ძალებით დაიდგა პირველი ქართული პიესა—„გაყრა“. ეს თარიღი მიჩნეულია ქართული თეატრის დაარსების დღედ.



„გაყრას“ მოჰყვა „დავა“, შემდეგ—„ძუნწი“. თეატრის დამაარსებელი, მისი პირველი დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი იყო გიორგი ერისთავი, რომელსაც კავკასიის მაშინდელმა მთავარმართებელმა მ. ვორონცოვმა „ქართველი მოლიერი“ უწოდა.

გ. ერისთავი კარგა ხანს სწავლობდა მოსკოვში, სადაც იგი ითვისებდა რუსულ და ევროპულ კულტურას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიური მონაწილე გახდა 1832 წლის შეთქმულებისა, რისთვისაც გადაასახლეს. 5 წელს ცხოვრობდა ჰოლნეთში, ისმენდა ლექციებს ვინნოს უნივერსიტეტში, გაეცნო პოლონელ მწერლებს, განსაკუთრებით მისებრ დევნილ ადამ მიცკევიჩს, რომლის მრავალი ლექსი აქვს ქართულად თარგმნილი. სთარგმნიდა აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის, ჰიუგოს, ბერანჟეს, შილერის დ. სხვ. ლექსებს.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გ. ერისთავი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მაგრამ მაშინ საზოგადოებრივი მოღვაწეობა, განსაკუთრებით ლიტერატურული, ძნელი იყო. არ იყო ქართული [illegible] არც გაზეთი [illegible] ისე გარდაიცვალა, რომ თავისი ლექსი დაბეჭდილი არ უნახავს. ალ. ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანის და იმ ხანის სხვა პოეტთა ნაწარმოებები ხელნაწერი ვრცელდებოდა ნაცნობ-მეგობართა შორის. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელი იყო. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი გზით წარმართვისათვის საჭირო იყო ფართო მასებთან დაკავშირება. ეს კარგად ესმოდა გ. ერისთავს. მან დააარსა ჟურნალი „ცისკარი“. პირველი ქართული ჟურნალი, რომელმაც ქართველ მოაზროვნეთა ხმა ფართო მკითხველამდე მიიტანა.

გ. ერისთავი ყრმობიდანვე სწერდა ლექსებს. მიჰყვებოდა რა თავის წინამორბედთა გზას, იგი თავის პირველ ლექსებს სწერდა ძველი, ხალხისთვის გაუგებარი მძიმე ენით. შემდეგ რუსი კლასიკოსების რეალისტური შემოქმედებით გატაცებული პოეტი დარწმუნდა, რომ ხალხთან საუბარი ხალხური ენით უნდა ეწარმოებინა. გ. ერისთავი პირველია ქართველ მწერალთაგან, რომელმაც დაჰგმო ძველი, საეკლესიო ენა მხატვრულ ლიტერატურაში და თავისი გმირები ხალხურ, მდაბიო ენაზე ალაპარაკა.

გ. ერისთავის დრამატიული ნაწარმოებები—„გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „წარსული დროის სურათები“—რეალისტურად ასახავენ 40-50 წლების საქართველოს ცხოვრებას. ავტორი ერთი მხრივ სატირად აკრიტიკებს, დასცინის გადაგვარებულ გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობას, ახლოს მოვლენილ ჩარჩ-ვაჭრებს, მეორე მხრივ გვიჩვენებს ამ „ვაჭართა“, ე. ი. კაპიტალის დიდ ძალას. იმავე დროს ავტორს გამოჰყავს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ ახალი გზით წარმართონ საქართველოს ცხოვრება, დანერგონ ხალხში ახალი იდეები.

გ. ერისთავის დამსახურება ჩვენი კულტურის წინაშე დიდია. იგი არის პირველი კომედიოგრაფი, რომლის გზას გაჰყვნენ შემდეგ ზ. ანტონოვი, ა. ცაგარელი და სხვა დრამატურგები. იგი არის ქართული პერიოდული პრესის დამაარსებელი, ქართული თეატრის და სათეატრო ხელოვნების ფუძემდებელი.

დღეს, როცა ქართული ჟურნალისტიკა, თეატრი, მწერლობა ასე დიდ სიმაღლეზე ავიდა, ჩვენ უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ვიგონებთ მათი ფუძემდებლის გ. ერისთავის სახელს.

გ. ნუცუბიძე

„ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეფასებით“

ქართულ ენაზე გამოვიდა ამხ. პ. ა. შარიას წიგნი „ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეფასებით“.

წიგნი, რომელიც გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, შეიცავს 40 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

„მ ა რ თ ა ლ ი“

გამოვიდა რ. გვეტაძის ნოველების წიგნი სამამულო ომის თემაზე—„მართალი“. წიგნში მოთავსებულია 11 ნოველა: „შეხვედრა“, „ყანაში“, „მარინა“, „დნეპრის პირად“, „მეგობრის სისხლი“, „სამნი“, „ტყვეობიდან გაქცევა“, „ხატი და ხმალი“, „ყინულია ქანდაკება“, „ბარდაბარ“ და „ვარსკვლავი“.

წიგნი, რომლის რედაქტორია შ. დადიანი, გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“. წიგნი შეიცავს 172 გვერდს და ღირს 14 მანეთი.

სიღნაღის თეატრში

სიღნაღის თეატრმა ზაფხულში საგასტროლო წარმოდგენები მოაწყო წითელწყაროსა და ლაგოდეხში. წარმოდგენებს დაესწრო 8.850 მაყურებელი. გასტროლები წარმატებით ჩატარდა.

ამჟამად თეატრის კოლექტივი ისვენებს. სეზონი დაიწყება ოქტომბრის პირველ რიცხვებში ს. კლდიაშვილის „ირმის ხევით“, რომელსაც სდგამს გ. გაბისონია. თეატრი ამზადებს ვ. შალიკაშვილის კომედიას „უნიადაგონ“ (დამდგმელი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მ. იარალი). ოქტომბრის თვეში თეატრი საგასტროლო წარმოდგენებს გამართავს გურჯაანსა და საგარეჯოში.

მწერალთა კავშირში

ოთხშაბათს, 20 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში პოეტი ს. შერვინსკი წაიკითხავს ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანებს. წაკითხვის შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შესვლა თავისუფალია.

გაიხსნა სეზონი ჭიათურის თეატრში

ჭიათურა, („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა ახალი სეზონი გახსნა მ. ჯაფარიძის „უამთაბერის ასულით“.

თეატრის კოლექტივი მორიგ პრემიერად ამზადებს ს. კლდიაშვილის „ირმის ხევს“. მიმდინარე სეზონში თეატრი დასდგამს „უანაღებს“, „სამანიშვილის დედინაცვალს“ და „ბასტიონს“, რომელიც მიძღვნილია სევასტოპოლის გმირული დაცვისადმი.

თ ე ა ტ რ ე ბ ი ს

20 სექტემბერს: სახელმწიფო ოპერა — „ქეთო და კოტე“. **რუსთაველის სახელობის**— „ირმის ხევი“. **გრიბოედოვის სახელობის** — „უკანასკნელი მსხვერპლი“. **სომხური**—„შემოსევა“. **ახუნდოვის სახელობის**—„ლეილ და მაჯნუნი“. **მოზარდი მაყურებლის**—ქართული—„ვალია სოკოლოვა“, რუსული—„კუზიანი კვიცი“. **თოჯინების** — ქართული—„ბებია დარეჯანის ზღაპრები“, რუსული—„ტერემტერემოკი“.

კ ი ნ ო ე ბ ი ს ა

20 სექტემბერს: რუსთაველის სახელობის—„მზიური ველის სერენადა“. **ოქტომბერი**—„მასკარადი“. **დამკვრელი**—„სამი მუშკეტერი“. **კომკავშირელი** — „შვიდი მამაცი“. **სპარტაკი** — „არინკა“. **ლუსემბურგის სახელობის**—„სიმღერა სიყვარულზე“. **26 კომისრის სახელობის**—„დიდი ცხოვრება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის სექტორი აცხადებს კონკურსს ელექტროტექნიკური